

კიდევ 3 ადამიანის პრეზიდენტობის კანდიდატურა დამტკიცდა
ცენტრალური საარჩევნო კომისიის დღევანდელ სხდომაზე კიდევ 3 პრეზიდენტობის კანდიდატურის წამოყენების მიმართვა განიხილეს.
ცესკოს თავმჯდომარის მაზაჰირ ფანაჰოვის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სხდომაზე 29 აგვისტოს თარიღით სხდომის პროტოკოლი დამტკიცდა.
შემდეგ რაუფ ზაქირ ოღლუ გულიევის პრეზიდენტობაზე საკუთარი ინიციატივით წამოყენებული კანდიდატურის დამტკიცება განიხილეს. ცესკოს მდივანმა არიფა მუხტაროვამ აღნიშნა, რომ გულიევის კანდიდატურის წამოყენების საკითხი შეისწავლეს და ამ საკითხის იურიდიული საფუძვლების ქონა დადგინდა. ცესკომ ღია კენჭისყრით გულიევის კანდიდატურა დაამტკიცა. შემდეგ გულიევის უფლებამოსილი წარმომადგენლებიც დარეგისტრირდნენ.